ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6538647

ნომერი: AR1968902

თარიღი : 02.06.2023

გაცემის თარიღი : 30.06.2023

გაცნობის თარიღი : 30.06.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, N 2ე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა კაჭკაჭიშვილი პ/ნ 01024037487
- თბილისი შ.გამცემლიძის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 564 (ძველი - 2278690 - 11/04/2015)
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 19.11.2021

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ბლოკი #12
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ანა კაჭკაჭიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 454407721
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინო ნემსაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008051208

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 9900.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2440.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2176.3
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1619.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 140.2
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 47.1
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 369.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8080.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 6940.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1140.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 33.55
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 28.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.85
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 284.5 კ1=0.03=0.1 შეთანხ. ბლ. 1,2,3,4,5,6,7,8-10,9,11 - 1786.2 კვ.მ (კ1=0.2), ხოლო შესათანხმებელი ბლოკი 6A-343.6 კვ.მ - 0.038; ბლოკი13 339.6 კვ.მ -0.037; ბლოკი15 374კვ.მ - 0.041; ბლოკი17- 430კვ.მ - 0.048 სულ ჯამში -3557.9 კვ.მ კ1=0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ბლოკი 12 - 2071.8 კვ.მ - 0.23; უკვე შეთანხ.ბლოკები1,2,3,4,5,6,7,8-10,9,11 - ჯამი=8345.4= კ2=0.92 ხოლო შესათანხმებელი ბლოკი15 -3110,5 კ2=0.34 ; ბლოკი13-2667.6 კვ.მ -0.298; ბლოკი 6ა - 2366.3 კვ.მ =0.26 ; ბლოკი 17 - 3107.9 კ2=0.37 სულ ჯამში ყველა ბლოკი =21669.5 კვ.მ - კ2=2.4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3= 2020.44 კვ.მ = 0.2 , გამომდინარე შემდეგი კალკულაციით: არსებული შეთანხმებული ბლოკების პროცენტულობა k2 კოეფიციენტის ათვისებული ფართის მიხედვით შეადგენს 37% -კვ.მ , ხოლო k3= 0.1=3307.8*0.1= 330.7 კვ.მ - საპროექტო ბლოკებს კი დარჩენილი 63% - k3=0.3 = 5632.2*0.3=1689.66 კვ.მ k3 კოეფიციენტის ჯამური ფართობი შეადგენს 1689.66+330.78=2020.44 კვ.მ

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 6208954
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 15.11.2022

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 6333041
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.02.2023

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. წარმოდგენილ გეოლოგიურ დოკუმენტებში არ არის მითითებული შენობის სართულიანობა, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას განახლებული დოკუმენტები მითითებულის გამოსწორებით.
2. საჯარო რეესტრში სარეგისტრირებული ზოგი ფართი არ შეესაბამება გეგმებზე მითითებულ ფართობებს. ასევე, ვინაიდან, ხდება სართულების დამადატება, წარმოდგენილი იქნას იპოთეკარის თანხმობა. ვინაიდან, მშენებლობის ორგანიზების პროექტით გათვალისწინებულია გარკვეული სამუშაოები მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე, წარმოდგენილი იქნას მესაკურის მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა, კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებულ ვადასთან შესაბამისად.
3. წარმოდგენილი იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N346 განკარგულების პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის ამავე პუნქტის "ე" ქვეპუნქტით მითითებულ ვადაში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. წარმოდგენილ იქნას განახლებული კონსტრუქციული სივრცითი მოდელის ანგარიში (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილებები და რხევის პერიოდი) ექსპორტირებული საანგარიშო კომპლექსიდან და დასტურდებოდეს შემსრულებლის მიერ, რომ მზიდი ელემენტები გაანგარიშების მიხედვით აკმაყოფილებენ სიმტკიცისა და მზიდუნარიანობის მოთხოვნებს. დამატებით წარმოსადგენია კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასება.
5. ველები ჩამოყალიბდეს:
.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2278690 (564 - 19.11.2021; 211 - 19.05.2023)
.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 11/04/2015
6. არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: წარმოდგენილი საექსპერტო შეფასება გაცემული 2022 წლის 07 ოქტომბერს. საჭიროა წარმოდეგნილ იქნას ექსპერტის მიერ სველი ხემოწერით დამოწმებული განმარტებითი ბარათი, რომელშიც დეტალურად იქნება განმარტებული მიმდინარე განცხადებით გათვასლწინებული სამუშაოები და მათი წესებთან შესაბამისობა.
7. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი იანგარიშება საპროექტო კ-2 ფართის შესაბამისად 1 კვ.მ-ზე 6 ლარის ოდენობით. გადახდილ იქნას დარჩენილი ნებართვის მოსაკრებელი.
8. ვინდაიდან კორექტირებული სამუშაოებით ხდება სამშენებლო მოცულობის გაზრდა, საჭიროა წარმოდგენილ იქნას საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და უნდა მოიცავდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 19-ე მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციას.
9. .კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე, ეტაპის დასრულების შესახებ შედგენილი ოქმი წერილობითი სახით უნდა წარედგინოს შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარებაზე უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს, რომელიც მხოლოდ ამ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ არის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას. საჭიროა წარმოადგინოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული შესაბამისი წერილი, რომლითაც დადასტურდება შეთანხმებული კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპების დასრულების დამადასტურებელი ოქმ(ებ)ის მუნიციპალურ ინსპექციაში წარდგენის ვალდებულების შესრულება.
გრაფიკი ჩამოყალიბდეს დარცენილი სამუშაოების გათვალისწინებით.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას,

განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.